# ხობის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ხ50.50210906**

თარიღი:**31/03/2021**

**ხობის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მხარდაჭერის 2021 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის „ე.ე“ ქვეპუნტისა და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის და 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მხარდაჭერის 2021 წლის სამოქმედო გეგმა, თანახმად დანართისა.
2. სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი შოლინა კანკია.
3. ბრძანება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. №3).

გოჩა ქაჯაია

ხობის მუნიციპალიტეტის მერია-ხობის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

დანართი

**ხობის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2021 წლის სამოქმედო გეგმა**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **მიზანი 1.** | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სისტემური გარანტიების გაძლიერება და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მათი მონაწილეობის გაზრდა | | | |
| **ამოცანა 1.1.** | შშმ პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა და მისაწვდომობის გარანტიების გაძლიერება | | | |
| | **ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი:** *კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ ითვალისწინებს შშმ პირების მისაწვდომობის გარანტიების გაძლიერებას ადმინისტრაციულ და სხვა ღონისძიებების გატარების გ ზით ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე* | **ამოცანის საბოლოო მაჩვენებელი:** *შშმ პირების მისაწვდომობის გარანტიების გაძლიერების განხორციელება დაწყებულია ადმინისტრაციული და სხვა ღონისძიებების გატარებით* | | |
| **აქტივობა 1.1.1.** | შენობა-ნაგებობების მშენებლობისას და რეაბილიტაციისას „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ ეფექტიანად განხორციელების მიზნით მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება | | | |
| | *აქტივობის შედეგის ინდიკატორი:* *2 (ორი) თანამშრომლის გადამზადება* | **შესრულების ვადა** | **დაფინანსების წყარო** | |
| | | 2021 წლის მე-3 კვარტალი | **მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი** | **სხვა** |
| | | | *ადგილობრივი ბიუჯეტი* | |
| **აქტივობა 1.1.2** | მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ადმინისტრაციული შენობების ადაპტირება | | | |
| | **აქტივობის შედეგის ინდიკატორი:** *სულ მცირე 7 შენობის ადაპტირება* | **შესრულების ვადა** | **დაფინანსების წყარო** | |
| | | 2021 წლის მე-4 კვარტალი | **მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი** | **სხვა** |
| | | | *ადგილობრივი ბიუჯეტი* | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **მიზანი 2.** | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | | | |
| **ამოცანა 2.1.** | შშმ პირების ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | | | |
| | **ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი:**<br>*კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ ითვალისწინებს შშმ პირებისთვის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სერვისების ხელმისაწვდომობას* | **ამოცანის საბოლოო მაჩვენებელი:**<br>*შშმ პირების ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამები გათვალისწინებულია ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამით* | | |
| **აქტივობა 2.1.1.** | შშმ პირთა ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა | | | |
| | **აქტივობის შედეგის ინდიკატორი:**<br>შშმ პირთა და ონკოლოგიურ დაავადებაზე საეჭვო პაციენტთა მაღალტექნოლოგიური გამოკვლევების (კორონაროგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია, ბიოფსია) დაფინანსება (ერთჯერადად), სათანადო მომართვის შემთხვევაში | **შესრულების ვადა** | **დაფინანსების წყარო** | |
| | | 2021 წლის პირველი-მე-4 კვარტალი | **მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი** | **სხვა** |
| | | | *ადგილობრივი ბიუჯეტი* | |
| **აქტივობა 2.1.2.** | შშმ პირთა სოციალური ინტეგრაცია | | | |
| | **აქტივობის შედეგის ინდიკატორი:**<br>0-18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის არასამთავრობო ორგანიზაციების სოციალური პროგრამების (მათ შორის, დღის ცენტრის კომუნალური ხარჯების) თანადაფინანსება | **შესრულების ვადა** | **დაფინანსების წყარო** | |
| | | 2021 წლის პირველი-მე-4 კვარტალი | **მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი** | **სხვა** |
| | | | *ადგილობრივი ბიუჯეტი (თანადაფინანსება)* | არასამთავრობო ორგანიზაცია |